# სახალხო გაზეთი

№ 825 კვირა, 17 თებერვალი 1913 წ. № 825

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მ ღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

**ადრესის გამოსაცვლელი ფასი** ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დ`ნა`ჩ`ნ ქ ათხვ ვაზში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ ფვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 **ქ. შ. წ.-კ ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3 **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.


კვირას, 17 თებერვალს დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი, განსვენებულ

**ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულის **ქვრივი დარია გიორგის ასული ხრამელაშვილისა და და სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი. 1060.

**ქვრივი მაკრინე გიორგის ასული გომელაურისა და მისი შვილები: დავითი, ნინო, თამარ და ვერა, დედა მაგდანი დავითის ასული, და ევა და ძმა ზაქარია სიმონის ძე გომელაურები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა ქმარი, მეორეთა—მამა, მესამასა—შვილი და მეოთხეთა—ძმა ბუჰღალტრის თანაშემწეთ სახელმწიფო ბანკში ნამყოფი

**ილია სიმონის ძე გომელაური**

(არკადის ქუჩა, 4). მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს 17 თებერვალს დილის 9 საათზე, ანჩისხატის ეკკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 111.

სამშაბათს, 19 თებერვალს, საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

**თ. ალექსანდრე (ბიჭიკო) სვიმონის ძის წერეთლის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმანი მისნი **თავადნი დიმიტრი და შალვა სვიმონის ძენი წერეთლები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. 113

**ანნა მიხეილის ასული ქარუმიძისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 17 ამა თვეს, საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის

**ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძის**

გარდაცვალების ორმოცის თავზე, გარდახდილი იქმნება პანაშვიდი სამების ეკლესიაში. წირვა დაიწყ. დილ. $10^{1}/_{2}$ ს., პანაშვიდი 12 ს. 116

დღეს, 17 თებერვალს, დანიშნულია სამების ეკლესიაში ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ნიკოლოზ დავითის ძის ქარუმიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ეკატერინე ივანეს ასული გიგაურისა, სოფიო მიხეილის ასული შვილებითურთ, თამარა ესტატეს ასული, ალექსანდრე და აჩიკო ესტატეს ძენი ჩხარტიშვილები.** 114

**ტელეფ. № 795.** ქართული თეატრი წარმოდ. № 52.

## გ. ვ მედევანოვის ბენეფისი.

კვირას, 17 თებ., ქართ. დრ. საზ. დასის მიერ **დამსახურებულ მსახიობის**

**გედეონ ვასილის ძის გედევანოვის საბენეფისოდ**

**ქ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მეორედ **შექსპირის** პიესა

### მეფე ლირი
ტრაგედია 5 მოქ. და 8 სურათად, თარგმნილი **ქავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა.**

**ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: **გოგოლაშვილი,** დავითაშვილი, ქიქოძე ბ-ნნი: აბდუშელი, ალექსიძე, ბერი ვ ლი, გედევანოვი, ზარ ალიშვილი მესხი, მატ რაძე, გოლოდბლიშვილი, ყივი ე, სარაული, ყიფიანი, კიციშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 ადმინ ქართ. დრამ. საზ. რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

## ქართული თეატრი

**კვირას. 17** თებერვალს გაიმართება

## საბავშვო დილა

სამ განყოფილებით: 1 ბავშვები წარმოადგენენ ბ. ახალციხელის მიერ გადმოქართულებულ პიესას—**„ობოლი“**

2. ლიტერატურულ-ვოკალური განყოფილება ბავშვების მონაწილეობით, ცოცხალი სურათები, საოხუნჯო გასართობები და სხვა.

3. პროეკტორი განმარტებით ილია ნაკაშიძის მიერ.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.** გამგე დილისა **ნ. ნაკაშიძე.**

ბილეთები იყიდება „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტ, № 8) და ქართულ თეატრის კასაში. 1056.

## კავკასიის სამხედრო მფრინავთა საზოგადოება

**აცხადებს,** რომ კვირას, 17 თებერვალს, ახლად აშენებულ საცრენ მინდორზე, **დიდუბეში** ტრამვაის სადგურზე, ქართველი მფრინავი

**ბ. ქიზურია აფრინდება 3 საათზე**

თავის აშენებულ ჰაეროპლანზე.

ბილეთები გაიყიდება იქვე იმ დღეს, ფასები დაკლებულია. მოწაფენი, ტრამვაის მოსამსახურენი და რკინის გზის მთავარი სახელოსნოს მოხელენი იხდიან ნახევარს. სამხედრო საზოგადოების წევრებს შეუძლიანთ უფასოდ დაესწრონ. 1061.

## ქ. თელავი

**პარასკ., 22 თებერვალს,** საქალაქო საკრებულოს დარბაზში **გაიმართება**

## მასკარადი-მეჯლისი

ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის სასარგებლოდ. 1670

## ახალი კლუბი

სამშაბათს, 19 თებერვალს,

### საოჯახო საღამო

ქართულ თეატრის სცენაზე პარიზის ოპერის არტისტის **მ. დარიალ—ნანობაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I მესამე მოქმედება გუნოს ოპერიდან **„ფაუსტი“.**

და II **საკონცერტო განყოფილება.**

ადგილების ფასი თეატრში 2 მ. 50 კაპეიკამდე. გალერეა 40 კ. 20 კაპეიკამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან: მამაკაცები 1 მან.; მანდილოსნები 50 კ. და სტუდენტები 25 კ. **დასაწყისი საღამოს 9 ს.** 1052.

**ქ. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი.**

**სამშაბათს, 19 თებერვალს.**

სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ და მსახურებულ მსახიობ **ქ-ნ ეფ. მესხისა და ბ-ნ კ. ყიფიანის** მონაწილეობით

**თავის თანხის გასაძლიერებლად** წარმ. იქმ. ცნობ. ისტ. დრამა-ლეგენდა

## ლალატი
5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ანკარა, ანტუანეტა, ნ. ბადრიძე, **გამრეკელი-ტორელი,** მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ბ. კორინთელი, ა. კახელი, **ეფ. მესხი, პიერეტა,** მ. რომანიშვილი ა, ტაბლა, ყანჩაველი, ყორიშვილი, თ. ყიფშიძე, ელ. ციმაკურიძე. ბ ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, გოცირიძე, გელიკურაშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ს. თავდიშვილი, ამბ ივ რე ი, ა. კავსაძე, კავაძე, ალ. მეტრეველი, ვ. მინდიაშვილი, ვ. ნინიძე, სტურუა, რ. სალაყაია, ლ. სამადაშვილი, ყარსიმაშვილი, გ. ფრონისპირელი, **კ. ყიფიანი,** ალ. შანშიევი, მ. ჭიაურელი, ჭუმბურელი, ნ ჭ ნკვატაძე, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და სხვ ნი. აგრეთვე თანამშრომელთა გაძლიერებული ჯგუფი.

ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

რეჟის. **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე** ქართ ს. წარ. მმართ. წრ. ადმ.

**ანონსი:** შემდეგი წარ. 23 თებ. 6 მარტს **ბენეფისი** რეჟის. **ალ. წუწუნავასი.** 1034

## ქ. გორი.

**კვირას, 17 თებერ.** გაიმართება ფრიად **საინტერესო და ორიგინალური**

## ვოკალურ-მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო-მეჯლისი

მონაწილეობენ:

**ვაჟა-ფშაველა**—ლექსები ✦ **ია ეკალაძე**—ესკიზი.
**თედო რაზიკაშვილი**—ლექსები. ✦ **ი. სალირაშვილი**—თარი.
**ქ-ნი ვ. ა. დავიდოვისა**—სიმღერა. ✦ **ნ. გოცირიძე**—სცენები.
**კ. მელვინეთ-უხუცესი**—როიალი. ✦ **ს. ფაშალიშვილი**—ლექსები.
**დ. აკოფაშვილი**—სიმღერა. ✦ **ი გრიშაშვილი**—ლექსები.

დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება: „ქართლის“ რედაქციაში, ქალაქის აფთიაქში **ივ. კვალიაშვილთან** და საურთიერთო ნდობის ბანკში **ალ. ჩუტკერაშვილთან.**

1051 გამგე **ა. გძელიშვილი.**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

## წინამძღოლის

თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ

### საგანგებო საგუბერნიო კრებაზე,

კვირას, 17 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში.

**საგანი კრებისა:**

ტფილილისის სათავად-აზნაურო კერძო

**გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობა.** 1049.


ქარხნის მარკა

### კონიაკი და ლიკორი
### ს. ს. შამრიარსკისა

ტფილ სი ელისაბ დის ქუჩა № 166. 1570

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საა ი. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი შ. ა. მიძელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^{1}/_{2}$ საათ. კახეთის ქ., № 6.


## ტფილისის სავაჭრო ბანკის

## დამაარსებელთა

## საორგანიზაციო კომიტეტი

ამით უწყება, რომ, ბანკის წესდების მე-5 § თანახმად,

ბანკის მოქ ძღბის დაწყებისათვის, აქციების ღირებულების ნახევარის შესავსები

**40% გადასახადი, რომელიც თითო აქციაზე 100 მან. უდრის,**

აქციონერთა ხელის შესაწყობად

**მიიღება საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში,**

**(ბებუთოვის ქუჩა, სახლი ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა, № 50),**

რათა შემდეგ წარდგენილ იქმნას სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში

## თებერვლის 11 20-დე.

სახელმწიფო ბანკის კანტორაში 40% გარდასახადის შეტანის დროს, უნდა წარადგინოს აგრეთვე დროებითი ბარათი 10% გადახდისა და შემდეგ 40% დამატებით შეტანილ გარდახდის კვიტანციასთან ერთად უნდა წარადგინოთ საორგანიზაციო კომიტეტის კანცელარიაში, რათა სათანადო წარწერა გაუკეთონ, დროებითი მოწმობის მიცემამდე.

სხვა ქალაქებას აქციონერებს შეუძლიანთ ეს შემოსატანი ფული ფოსტით გადმოსცენ პირდაპირ **სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორას საორგანიზაციო კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში ჩასარიცხად 30079 ნომრით,** ან კომიტეტის თავმჯდომარის

### არკადი ნაზარის ძე მილოვის

**სახელობაზე,** ხოლო 10% შემოტანის დროებითი კვიტანციებიც ამასთანავე უნდა გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის სათანადო წარწერის მოსახდენად.

**ფულის მიღება სწარმოებს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე.** 1046

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія"
въ Тифлисѣ
№
Заявленъ М-ву Торг. и Пром.
Уставъ общества утвержденъ 1892г.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს
მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი, „კახეთი"-ს საზოგადოება
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოვეკიდებით სასამართლოს წესით. 1054

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.
ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ
„ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე.
წელიწადი მეცხრე.
გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ო რ ი გ ა მ ო ც ე მ ა:
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი
ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან „ბიძია თომას ქოხი", სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ. ჟურნალი „ნაკადული" მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.
ზიაში რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომცემელი თ-დ პავლე თუმანიშვილი

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოდ.
ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, როდის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდნ.კა, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). ტელეფ. 7—92. 97.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ანანიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ ჟამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი:
დბვითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

[illegible]:
მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირაძლოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½ 12½.

[illegible]:
ექიმი-ქალი ვერზილოვა-ფირაძლოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხულაკოვი ს. ი. (ყოველ დღე) 12—1.

[illegible]:
ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

[illegible]:
გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დბვითიანი რ. ხ. (ყოველ დღე) 1—2.
ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.

[illegible]:
ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
თრიმბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2.

[illegible]:
მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

[illegible]:
დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შიდაგვათიანი სადღასუროთ. ¶. 1035

ᲡᲐᲒᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდოჯის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჯრა 20 დესეტინა მამული და იყიდე ა წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უპორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ¶. 1020

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროლენკოს ქ. № 20. ¶. 1 22

ᲔᲥᲘᲛᲘ ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ᲔᲥᲘᲛᲘ ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ. № 9½, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირაპირ. 192

ᲔᲥᲘᲛᲘ კბილისა ნინო რჩეულაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

ᲔᲥᲘᲛᲘ ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. ქალთ. ავადმყ. არ იღებს. მიხაილოვის ქუჩა. № 3, ს. გაბაშვილისა.

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ვორონოვი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ „606"-ᲘᲗ 1053

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲐ
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის, ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ½ ს.
აბულაძიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
ალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. ს.-ღ. 4—5 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

# ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝ

(დეპეშა პეტერ. სააგენტოს)

**15 თებერვლის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

შემოტანილ საქმეთა სიაში არის საკანონმდებლო მოსაზრებანი ქალთა საქარხნო ინსპექციის დაარსების და სახალხო სკოლების მასწავლებელთა და სამღვთო რჯულის მასწავლებელთა ჯამაგირის მომატების თაობაზე.

სათათბირო იხილავს კომისიის მოხსენებას, რომანოვთა საგვარეულოს 300 წლისა მეფობის დღესასწაულის აღნიშვნის გამო.

მომხსენებელი **ვარუნ-სეკრეტი.** კომისიამ სხვა და სხვა მოსაზრება განიხილა. იმათში ის პროექტები არჩია, რასაც საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს და რასაც შეუძლიან ხელი შეუწყო ხალხის განათლებას და ეკონომიურ წარმატებას. კომისიას სასურველად მიაჩნია შემდეგი პროექტები: მოსკოვში სრულიად რუსეთის საეროვნო მუზეუმის დაარსება, კოსტრომაში საპედაგოგიო ინსტიტუტის მოწყობა და აგრეთვე 23 სამოსწავლო სემინარიის დაარსება, სააღგილ-მამულო საქმის გასაუმჯობესებლად პროექტის მთავარ დებულების შემუშავება, რასაც სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს.

კომისია წინადადებას იძლევა: 1) სათათბირომ მიიღოს ფორმულა, რითაც მთავრობას დაევალება აღნიშნულ კანონ-პროექტების შემუშავება; 2) გამოსთქვას სათათბირომ სურვილი, რომ სემინარიების დაარსების პროექტში რიცხვის რაოდენობა შემცირდეს.

**ჩისტოვი.** სემინარიების მაგივრად საჭიროა სამეურნეო სკოლების დაარსება ყველა მაზრაში.

**ტარასოვი.** საჭიროა პეტერბურგში აიგოს დიდებული ტაძარი, საცა მუშებს შეეძლოთ მოისმინონ წირვა-ლოცვა.

**მღვ. პოპოვი მეორეც** მოითხოვს დიდ ტაძრის აგებას. გარდა ამისა საჭიროა დაარსდეს სააღგილ-მამულო ფონდი; ინსტიტუტებისა და სემინარიების გახსნის პროექტი კი უარყოფილი უნდა იყოს და იგი სათათბირომ მორიგ საკითხად განიხილოს (ტაში მარჯვნივ).

**მღვ. პოპოვი მეორეს** შეაქვს ფორმულა: საეკლესიო საქმეების რეფორმები რაც შეიძლება მალე დაკანონდეს, რათა მთავრობამ დაუყოვნებლივ შეიმუშაოს რუსი ხალხის უუსაჭიროესი მოთხოვნილებანი საეკლესიო საქმეში.

**მღ. სტანისლავსკის** შეაქვს წინადადება ხაზინის ხარჯით დაარსდეს 500.000 მანეთიანი რომანოვთა ფონდის, ღარიბ მრევლთათვის ეკლესიების ასაგებად.

**მელნიკოვი.** სახალხო სკოლების მასწავლებელს სახელმწიფო სამსახურის უფლებანი უნდა მიენიჭოთ.

**აფანასიევი.** სახაზინო მიწების უსასყიდლოდ დარიგება გლეხთათვის საუკეთესო ძეგლი იქნება ბრწყინვალე დღესასწაულისა.

**კრუპენსკი.** სათათბირო ძარცვაგლეჯის საკითხს კი არ იხილავს, არამედ დიად დღესასწაულის აღნიშვნასო. ამ დღესასწაულის სახსოვრად ისეთი რამე უნდა შეიქმნას, რაც რუსეთის იმპერიის ყველა ერებს გააერთიანებს. დიდ ტაძრების აგება მარტო მართლმადიდებელ ხალხთათვის იქნება შემაერთებელი აქტი. როდესაც მაღალ სათათბიროს ჰსურს შეერთდეს ამ დიდებულ ზეიმში, ვთხოვ მემარჯვენეებს ამ დღეებში პოლიტიკას ნუ შემოიტანენ.

**ნაზაროვი.** არა ლაშქარი, არა ფლოტი, არა არტილერია, არამედ სკოლა ჰქმნის დიად სახელმწიფოს. დიდებულ დღის აღსანიშნავად გლეხებზე მიწით უნდა გავცეთ მოწყალება და მასწავლებლებზე ჯამაგირით (მარცხნივ ტაში).

**მარკოვი მეორე.** 300 წლის წინად მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოება ჰქმნიდა რუსეთის სახელმწიფოს. თუ სათათბირო ღირსია რუსეთის მართლმადიდებელ დიდებულ ხალხისა და ესმის საბედისწერო მნიშვნელობა მართლმადიდებელ ეკლესიისა, იგი ზნეობრივად მოვალეა გაიღოს ფული მართლმადიდებელ ეკლესიის ასაგებად (მარჯვნივ ტაში).

სათათბირომ მიიღო კომისიის ფორმულა.

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

სათათბირო იხილავს სოც.-დემ. სწრაფ შეკითხვას, პეტერბურგის გამცველ განყოფილების მიერ სათათბიროს დეპუტატ პეტროვსკის თავისუფლების დროებით შეზღუდვის თაობაზე. შეკითხვის საჩქაროდ განიხილავს **ხაუსტოვი** და **ჩხენკელი** იცავენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დამცველ განყოფილების მოხელეებმა დაარღვიეს სათათბიროს დებულების მე-15 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სათათბიროს წევრის შეპყრობა ან მისი თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლებაო.

შეკითხვის სწრაფი განხილვა სათათბირომ მიიღო. შეკითხვას არსებითად იხილავენ.

**ზამისლოვსკი.** შეკითხვა შეუწყნარებლად მიმაჩნია, რადგანაც გაჩხრეკა უკანონობად არ ჩაითვლებაო. სასამართლოს დადგენილები სწორედ გენლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ ადგილებში, საცა საგანგებო წესები არსებობს, ჩხრეკა სასამართლოს დაუკითხავად ხდებაო. ერთად ერთი უკანონობა ეს თავისუფლების შეზღუდვა იყო, თუ კი ამას, მართლაც, ადგილი ჰქონდა, მაგრამ ამის დასამტკიცებლად [illegible]ტო პეტროვსკის განცხადება [illegible]ყავთ, სოც.-დემოკრატები ხომ მესამე სათათბიროშიაც ცილისმწამებლობდნენ, მაგალითად, გოლოლობოვის საქმეში. ამისთვის პეტროვსკის განცხადება არ ჩაითვლება დასამტკიცებელ საბუთად. მემარჯვენენი შეკითხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

**პეტროვსკი** ამტკიცებს, რომ პოლიცია სახლში მოტყუებით შემოიჭრა და დანება არ მომცა სახლიდან გავსულიყავი.

**ალექსანდროვი.** სათათბიროს ძირითადი დებულებანი დარღვეულია. დეპუტატის ხელშეუხებლობა გათელილია. საჭიროა დავივიწყოთ მესამე სათათბირო და პარტიოზა. უნდა გვახსოვდეს მხოლოდ კანონმდებელთა კრებულის უფლებანი.

**პურიშკევიჩი.** მემარცხენე ფრაქციათა წარმომადგენლებმა, ხელშეუხებლობის უფლების სარგებლობით თვისი გამხრწნელი მოქმედება სათათბიროდან ბინებზე გადაიტანეს, საცა რევოლიუციონერების კრებები ხდება, საცა სარევოლიუციო ლოზუნგები მუშავდება, საცა ხალხს აღელვებენ და აქტიურ მოქმედებისკენ მოუწოდებენ. საიუბილეო დღესასწაულის დღეს პეტერბურგი წესიერების მხრივ უზრუნველ ოფილი უნდა იყოს. ამისთვის მთავრობას შეკითხვით კი არ უნდა მივმართოთ, არამედ მდაბლად უნდა დაუკრათ თავი მადლობის ნიშნად, რომ საჭირო ზომები მიიღო. სამწუხაროა, რომ პოლიციამ სოც.-დემოკრატ. ფრაქციის ყველა წევრის ბინა არ გაჩხრიკა.

**გერასიმოვი.** სათათბიროს წევრები ბაგოვი და პეტროვსკი 300 მანეთით დააჯარიმეს. მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ პოლიცია მარტო დეპუტატთა ხელშეუხებლობის დარღვევა კი არა ჰსურდა, მას ჰსურდა დემონსტრატიულად შეურაცყოფა მიეყენებინა სათათბიროსთვის.

**ბაგოვი.** ქალაქის უფროსმა დამაჯარიმა 300 მანეთით მე პეტროვსკისთან ვბინადრობდი.

**პურიშკევიჩი.** (ადგილიდან). მაგ დინგზედაც გეტყობა! (მარცხნივ ძლიერი ხმაურობაა. ისმის ყვირილი: „გაეთრიე").

**თავმჯდომარე** პურიშკევიჩს წესიერებას მოაგონებს. მარცხნივ ხმაურობა და პროტესტი არა სცხრება. დარბაზში საერთო მღელვარებაა. დეპუტატები ადგილებიდან სდგებიან. **ჩხეიძე** პურიშკევიჩს უყვირის: „ოხრანიკო, ჯაშუშო, დაქირავებულო"!

**თავმჯდომარე** რამდენჯერმე მოუწოდებს სათათბიროს წესიერებისკენ. დროა თქვენ თითონ ისწავლოთ და გახსოვდეთ რა შეიძლება და რა არა (ტაში ცენტრში). აქ ხშირად გაგვიგია მთავრობის მიმართ საყვედური სიტყვებისთვის: „ესე იყო, ესეც იქნებაო". ჩვენ თავიდან დავიწყოთ და ვსთქვათ: „რაც იყო, იყო, შემდეგ ნუღარ განმეორდება". უნდა წესიერად მოვიქცეთ (ტაში ცენტრში). ყოვლად შეუწყნარებელია პურიშკევიჩის სიტყვები, აგრეთვე ჩხეიძისაც. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ორივე ერთი სხდომიდან დაითხოვონ (ტაში ცენტრში).

**პურიშკევიჩი.** სათათბიროში ცალმხრივი სამართლიანობაა: ამას წინად შჩეპკინმა სათათბიროს ერთს მესამედს ნაძირალები უწოდა და მხოლოდ შენიშვნა მიიღო. ეხლა სხდომიდან ითხოვენ. მემარჯვენეების წინააღმდეგ სისტემატიური დევნა არის. პურიშკევიჩი გაძევების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს განსაკუთრებით ჩხეიძესთან ერთად.

**ჩხეიძე.** არასასურველ სიტყვებს დროიანად არ აჩერებენ. მემარცხენეები დამნაშავეები არ არიან. ჩხეიძე ბოდიშს იხდის.

კენჭის ყრით პურიშკევიჩის გაძევება მიიღეს 214 ხმით წინააღმდეგ 73 სა. ჩხეიძეს გაძევება უარჰყვეს 166 ხმით წინააღმდეგ 119-სა. კარებში გასვლით კი ჩხეიძეს გაძევება მიიღეს 179 ხმით წინააღმდეგ 78. თავი შეიკავეს 42 კაცმა პროგრესისტმა და კადეტმა და 4 მემარჯვენემ (ტაში ცენტრში).

თავ. **ურუსოვი** თავმჯდომარეობს.

**მარკოვი მეორე.** სათათბიროს წევრი რომ დაეპატიმრებინათ, მემარჯვენენი შეკითხვას მხარს დაუჭერდნენ. მაგრამ აქ რთული შემთხვევაა: საქმე ეხება გარეშე პირთ, რომელნიც დეპუტატის ბინაზე იმყოფებოდნენ. ვინ არიან ისინი, რა ხდებოდა სახლში—არ ა ვიცით რა. ჩხრეკის მოხდენა მასპინძლის ცოტა ოდნის შეუვიწროვებლად შეუძლებელია. რათა საქმის ვითარება გამოირკვეს საჭიროა შეკითხვის კომისიაში გადაცემა.

**ზამისლოვსკი** ამტკიცებს, რომ დეპუტატთა საზოგადო ხელშეუხებლობა არ არსებობს. ოპოზიციას ჰსურს ბინის ხელშეუხებლობა დამნაშავეთა ბინის ხელშეუხებლად გადაიქციონ, პიროვნებისა—დამნაშავის თავისუფლებად. მოლაპარაკე მოაგონებს, რომ მეორე სათათბიროს წევრის სოც.-დემ. ბინაზე, როგორც სასამართლოს განაჩენი გვიჩვენებს, შეთქმულება ხდებოდა (მარცხნივ ხმებია: „სიცრუეა". ხმაურობა).

**ზამისლოვსკი** თავმჯდომარეს სთხოვს წესიერება აღადგინოს.

**თავმჯდომარე** თხოულობს, ადგილებიდან შენიშვნებს ნუ იძლევითო.

**ზამისლოვსკი.** მაშასადამე, კონსტიტუციის ტერმინოლოგიით სიტყვა „სიცრუე" შენიშვნაა! მარცხნივ ისეთი ხალხი სხედს, რომელნიც სათათბიროს გარეშე დევნილნი არიან იმ მუხლებით, რომელიც კატორღითი ჰსჯის. სოც.-დემ. ფრაქციამ წევრებად მიიღო იაგელოვი, პოლონეთის წევრი სოციალისტურ პარტიის, რომელიც ტერორით ჰმოქმედობდა. მოახლოვებულია რომანოვთა საგვარეულოს დღესასწაული, როდესაც განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ტერორისტული აქტები ხდება ხოლმე სწორედ ასეთ შემთხვევებში. მოლაპარაკეს უკვირს, რომ როდესაც მთავრობის გამჭრიახობა ეხლა უფრო საჭიროა ოქტომბრისტები თვალში ჯოხსა ჰსჩხირავენ. ასეთი საქციელი ქვეშმარტ ქვეშევრდომს არ შეჰფერის (ტაში მარჯვნივ).

შეკითხვა მიიღეს 202 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 79 ხმისა.

შემდეგი სხდომა 27 თებერვალს მოხდება.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

✦ „სახალხო გაზეთ"-ის გუშინდელი ნომერი (824) პოლიციამ, საცენზურო კომიტეტის განკარგულებით, დაიჭირა.

✦ სახალხო განათლების სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს **კავკასიის პოლიტექნიკუმის პროექტს.** განხილვას დაესწრებიან მეფის მოადგილეს ნაცვალი სენატორი ნიკოლსკი და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი.

✦ „პეტ. ვედომოსტის" მე-35 ნომერში დაბეჭდილია **ნ. დურნოვოს** საგულისხმო წერილი „ინტრიგები ათონელ რუსებისა". წერილი ეხება ათონის მონასტრების საქმეს და კერძოდ ივერიის მონასტერსაც.

✦ კავკასიის სამოსწავლო **ოლქის მზრუნველი რუდოლფი** სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ საკანონმდებლო წესით მის განკარგულებაში ამ წლისათვის გადადებულ 94,800 მან. გარდა, კიდევ 101,200 მანეთი გადასდონ, კავკასიაში საშუალო საქალებო სასწავლებელთა შესანახად. სამოსწავლო ოლქის უფროსი ადასტურებს, რომ კავკასიაში საქალებო სასწავლებლები სწრაფად მრავლდება; მათ ინახავს საქალაქო დაწესებულებანი, ხოლო ხაზინა 2—4 ათას მანეთით ეხმარებაო.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება **პროფ. ა. ა. ცაგარელის თხზულება:** „წერილები და შენიშვნები ქართულ ეკლესიის საკითხის გამო". წიგნი რუსულად არის დაწერილი. ღირს 1 მან.

✦ წვრილ სესხის ტფილისის საგუბერნიო კომიტეტმა დაამტკიცა **წილკნის საკრედიტო ამხანაგობის** წესდება. ამხანაგობის გამგეობა იქნება სოფ. წილკანში (დუშ. მაზრა). ამხანაგობაში შემდეგი სოფლები შედის; წილკანი, მისაქციელი, ერედა, ახალდაბა, ფრიზეთი, ნაოზა, ლამი, ნატახტარი და ძალისი, ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან ძირითად თანხად ორასი თუმანი მიეცემა. ამხანაგობის თითო წევრს შეუძლიან სესხად გაიტანოს არა უმეტეს ათის თუმნისა, ხოლო ხორბლეულისა, სამეურნეო, თუ სახელოსნო, ნაწარმოების დაგირავებით—არა უმეტეს ოცის თუმნისა.

✦ 15 თებერვალს **მეფის მოადგილეს წარუდგა** ყარსის ოლქის ახალი გუბერნატორი პოლკოვნიკი პოდგურსკი.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი **ა. ა. გრომოვ**ი ორის თვით დასასვენებლად წავიდა. მის მოვალეობას შეასრულებს ბრალმდებლის ამხანაგი ნ. გ. ტკაჩევი.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადულის"** მე-[illegible] ნომერი (მცირეწლოვანთათვის), შემდეგის შინაარსით: სურათი, „ჩემი სტუმრები" (ლექსი) შ. მღვიმელისა, „არჩვი" (მოთხ.) ივ. ელიაშვილისა, „მხედრობის უკანასკნელი განხილვა" თარ. იასე რაჭველისა, „მაიმუნი" (იგავი) ალ. მირიანაშვილისა, „სახლის ანგელოზი" (ზღაპარი) ალ. ნათაძისა, გასართობები რებუს და რებუსის ახსნა.

✦ **დღეს მწირველი არიან:** საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ეგზარხოსის ეკლესიაში, გორის ეპისკოპოსი ანტონი—სიონის საკათედრო ტაძარში და ერევნის ეპისკოპოსი პიმენი—კუკიის წ. ნინოს ეკლესიაში.

✦ **ქალაქის სასალახოს გამ**[illegible] როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგ[illegible] ობასა და ხმოსანთა ერთს ჯგუ[illegible] შეუძლებლად მიაჩნიათ გაჩუმება ხ[illegible] ი. სულაბერიძის გამოლაშქრებ[illegible] შემდეგ. ამ აზრით განზრახული[illegible] მოიწვიონ მთავრობის დაწესებულ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა ინჟინრები და ტეხნიკები დაწვრილებით მოახდინონ რევიზია ქალაქის სასალახოში.

✦ **მგოსანი ვაჟა-ფშაველა** 20 თებერვლისთვის ქუთაისში მიიწვის, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სალიტერატურო სალამოში.

✦ **ფრენა.** მფრინავი ბ. ს. ქებურია დღეს, ნაშუადღევის 3 საათზე, დიდუბის მოედანიდან აფრინდება.

✦ გუშინ ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძრის გალავანში რეპეტიცია-„მარშიროვკა" მოხდა ტფ. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებისა, **რომელნიც რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილესთვის** ემზადებიან.

✦ **პანაშვიდი.** დღეს, განსვენებულ მოღვაწის **ეგნატე ხრამელაშვილის** გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

✦ **მეღვინეობისა და მევენახეობის** საგუბერნიო კომიტეტს მთავარმა ინსტრუქტორმა ივ. იოსელიანმა წარუდგინა თავის მოქმედების (ტფილისისა, გორისა, დუშეთისა და ბორჩალოს მაზრაში) ანგარიში, რომელშიაც ბ-ნი იოსელიანი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ წარსული წელი მევენახეთათვის საზარალო იყო, რადგანაც გაზაფხულზე სიცივეები დაიჭირა და ხშირად თოვლიც მოდითდაო; ამინდის ცვალებადობის გამო ვაზის ყლორტები სულ დალპულა და ღვინის მოსავალი მცირე ყოფილა, ისიც დაბალის ღირსებისა. ბევრს ალაგას სრულიად არა მოსულა-რა. ამავ ანგარიშიდან სჩანს, რომ საფილოქსერო დასს ბ ნ იოსელიანის მეთაურობით დაუთვალიერებია გარეკახეთში ხუთი სოფელი: პატარძეული, ბერთუბანი, ალბულაღი, ნინოწმინდა და საგარეჯო, სადაც დაუთვალიერებია 1742 ვენახი, გაშენებული 504½ დესეტინის სივრცეზე. ამ სოფლებში ფილოქსერა მოდებული ჰქონია ვაზს 2747 ოთხკუთხის საჟენის სივრცეზე.

✦ გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, გახსნას **ბიბლიოთეკა** გორის მაზრის სოფელ შინდისში.

✦ სამი დღეა ტფილისში კრებები დაიწყო ამიერ-კავკასიის გუბერნატორებისა, სახაზინო პალატების გამგეებისა და ხარჯის ამკრებ ინსპექტორებისა. უნდა გამოარკვიონ საკითხი: როგორ უნდა განახორციელონ **გლეხთა ვალდებულების მოსპობის** ახალი კანონი. კრებები 18 თებერვალს დასრულდება.

✦ გუშინ დილით ავლაბრის მოედანთან **ტრამვაის ვაგონი № 36** დაეჯახა ურემსა. ურემს თვლები დაემტვრა, მეურმე გიორგი ბიძინაშვილი მსუბუქად დაშავდა ფეხში.

✦ **ტფ. საბოტანიკო ბაღი** ყარაიაზის განყოფილებაში შენობას აგებს განყოფილების გამგისათვის.

✦ **ქალაქის გამგეობის 1911 წლის** ანგარიშის განსახილველად დღეს, დილის ათ საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში კრება ექნება ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მეხუთე სექციას.

✦ **თბილისში გარდაიცვალა** კავკასიის სამხედრო შტაბის საისტორიო მუზეუმის უფროსი პოლკოვნიკი ტომკევი, რომელიც გუშინ დაასაფლავეს კუკიის სასაფლაოზე. დასაფლავებას დაესწრნენ მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, სამხედრო უწყების უმაღლესი წარმომადგენელნი და მრავალი გარეშე ხალხი.

✦ განზრახულია ტფილისში დაარსონ **ნოქართა კლუბი**. კლუბის დამაარსებელთა კრება დღეს, შუადღის 12 საათზე მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

✦ 21 თებერვალს ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის იუბილეს** გამო სადღესასწაულო პარაკლისს გადაიხდიან. პარაკლისის შემდეგ კურსების საბჭოს საზეიმო კრება გაიმართება კურსების მსმენელ ქალთა თანადასწრებით, კრებაზე კურსების დირექტორი ფ. ვ. ბლაგოვიდოვი მოხსენებას წაიკითხავს იუბილეს შესახებ.

✦ **ტფ. საარტისტო საზოგადოებას** 1912 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 89,486 მან. 5 კაპ. (მეტი შემოსავალი ყოფილა ბანქოს თამაშობისაგან—16,548 მან.), ხარჯი ჰქონია—79,812 მან. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიც. ნავარაუდევია 64,090 მან.

✦ **საბირჟო ცნობები.** 16 თებერვალს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მ. 40 კ., აძლევენ—85 მ. ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—82 მ. 50 კ., აძლევენ 80 მან. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ 78 მან. აძლევენ—77 მ. 25 კ.

✦ 15 თებერვალს, ღამის 3 საათზე, შეიპყრეს გიორგი ივანის ძე ახალკაციშვილი, რომელიც გორში ყოფილა გაგზავნილი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ და თავის ნებით დაბრუნებულა ტფილისში, ახალკაციშვილს გორშივე ჰგზავნიან.

✦ პოლიციამ შეიპყრო დიმიტრი დოდაშვილი, რომელსაც საგარეჯულ ნიკ. იაკ გოგილაშვილის მოკვლა ჰბრალდება.

✦ მაძებარმა პოლიციამ ლომინა დუძინკის სახლში აღმოაჩინა ბევრი ნივთები ტელეფონის მოწყობილებისა, რომელიც სატელეფონო სადგურზე მოსამსახურე ნიკ. ვასილევს უპარნია. ორნივენი შეიპყრეს და დანაშაულობაში გამოტყდნენ.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ებრაელ ბავშვთათვის** მზრუნველ საზოგადოების საგანგებო კრება დღეს მოხდება.

✦ **ტფ. გუბერნ. თავად აზნაურთა საგანგებო კრება** დღეს მოხდება ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმეთა გამო.

✦ **ქალაქის საბჭო.** მორიგი კრება 18 თებერვალს მოხდება. განსახილველი აქვს 21 საქმე.

## რკინის გზაზე

✦ **მატარებლების დაჯახება.** 14 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ახტალასა და აირუმს შორის საქონლის მატარებლები ერთმანეთს დაეჯახნენ. **დაიხოცნენ:** მემანქანე გიორგი ჩივაძე და კანდუქტორი ვასილ კარაუგლევი. **დაშავდნენ:** მემანქანის თანაშემწე აკაკი ჰანტურია და კანდუქტორები—კოსტორ ლავიძე, მარკელ შაპოვალოვი და ანტონ ბროვჩენკო და გრიგოლ სუპრუნოვი. დაშავებულნი ტფილისის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს.

## ქუთაისი

✦ მეფის მოადგილის მონდობილობით სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა აცნობა **ქართულ გიმნაზიის მმართველს**, ზომები მიიღე, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან ბავშვების რიცხვი თითო კლასში 40 კაცს არ აღემატებოდესო, წინააღმდეგ შემთხვევაში გიმნაზია დაიხურებაო. ჯერ-ჯერობით არ ვიცით რა გადაწყვეტილებას დაადგა ქართული გიმნაზიის ადმინისტრაცია, კერძოდ-კი ლაპარაკობენ, რომ მეფის მოადგილის განკარგულების ასრულება გამოიწვევს უნცროს კლასებში მესამე პარალელების გახსნასო.

✦ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ გახსნილი **სახამოს კურსები** მრავალ ხალხს იზიდავს, რომელიც გულმოდგინედ უსმენს ლექტორებს.

✦ ზამთრის პირში დიდის გულმოდგინეობით შეუდგა ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა მოსწავლეთათვის უფასო სასადილოს საქმეს. ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით შეეგება გამგეობის თაოსნობას. მაგრამ ეხლა იმისი შიშიც-კი დაიბადა, ვაი თუ სასადილოს მოწყობის საქმე დავიწყებას მიეცესო.

✦ ცივმა და ხანგრძლივმა ზამთარმა შეშა გააძვირა. კუბიკური საჟენი 40 მანეთზე ნაკლებ არ იყიდება.

✦ ქუთაისში მოელიან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე **სლავინსკის.**

✦ ქალაქის საბჭომ **ვლ. მესხიშვილის** საჩუქრად ათი თუმანი გადასდო. ამ საჩუქარს მიართმევენ 10 მარტს, როდესაც ქუთაისში მესხიშვილს იუბილეს გადაუხდიან.

✦ წ.-კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილება ჰბეჭდავს **ეკ. გაბაშვილის** მოთხრობას „მადანას ლურჯა".

✦ ქალაქის საბჭომ ამწლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა თანხა რიონზე **მეოთხე ხიდის ასაგებად.**

✦ ქუთაისში იბეჭდება **გ. ჭალადიდელის** ლექსთა კრებული.

✦ **სად. ფუთში.** 13 თებერვლიდან მატარებლებს (№ 1 და 2) თითო წუთით შეაჩერებენ მგზავრებისათვის, ხოლო ბარგს არ მიიღებენ.

✦ ქუთაისის ექიმებს განზრახვა აქვთ შეადგინონ **ჭლექთა მებრძოლი წრე.**

✦ **ქუთაისის მოქალაქეებად ჩარიცხეს:** ნიკოლოზ ლუარსაბის ძე ფურცელაძე, სვიმონ ივანეს ძე, პლატონ ნიკოლოზის ძე და გედევან ავთანდილის ძე ფერაძეები.

## სიღნაღი

✦ წ.-კ. გ. საზ. სიღნაღის განყოფილებასთან **დრამატიული სექცია** დაარსდა. სექცია წარმოდგენებს გამართავს სიღნაღსა და ახლომახლო სოფლებში.

✦ ბოლო დროს ჩვენსკენ **თოვლი მოვიდა.** გლეხობა მოხარულია, თოვლი მინდვრის თაგვს გასწყვეტსო.

✦ სიღნაღის ხელოსანთა **შემნახველ-გამსესხებელ** ამხანაგობას ნება დართეს დავთრები ქართულად აწარმოვოს.

# სიმღერა

ოდეს ვნახე, ვსთქვი: მიჯნური ის არი!
გამიღიმა, მტყორცნა თვალთა ისარი.
მაგრამ იყო თურმე იგი ჩვენება,
ოცნებაში თურმე თვით მე ვშე ნება.
სინამდვილემ რა მომიკლა მშვენება,
ველარ შევძელ კვლავ სხვა ტაძრის შენება.
სიხარული აღარ ძალმიძს, აღარა!
ვინც მიყვარდა, მან ეს გული დაღარა.

—

მომეწამლა ჩემი ყოფნა შამითა,
მომებნელა გრძნობა სევდის ღამითა.
ასე დავრჩი გულით მარად მწუხარი
მდის ბედკრულსა ცრემლი მწარე, მდუღარი.
მოთქმით ვჩივი დაკოდილი მკვნესარე.
გამოხმობით ბანსა მაძლევს ეს არე.
სიხარული აღარ ძალმიძს, აღარა.
ვინც მიყვარდა, მან ეს გული დაღარა!

—

უწინ სიზმრად თანა მსდევდა სულ ისა,
იქ ნახული შვება იყო სულისა.
ერთხელ კიდეც მან გადმომცა ია მე,
გამომფხიზლდა, მით ცხადლივაც ვიამე.
მაგრამ, ვაი, რა უნდა ვქმნა მე ახლა,
რომ თვით ლანდი ძილშიც ტანჯვით მეახლა?
სიხარული აღარ ძალმიძს, აღარა!
ვინც მიყვარდა, მან ეს გული დაღარა.

ბერლინი. ა. **შანშიაშვილი.**

# კიდევ დიდი საქმის გამო
## ღია წერილი

ნადელების პატრონ მემამულეთა მიერ ხაზინისაგან მისაღებ ფულიდან ერთი წილის საზოგადო საქმისათვის გადადების შესახებ, ჩემმა წერილმა ქართველი ქალისადმი, მათ შორის თურმე ერთია საკითხი აღძრა: თითონ ის კი გადიხდის რასმე, თუ არაო? მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ეხლავე გავსცე პასუხი, როდესაც მე იმ მიმართვას ვსწერდი, დარწმუნებული ვიყავი, როგორც ჩემთვის, სხვისთვისაც ისე იყო ცხადი, რომ ის, ვინც სხვას მოუწოდებს საზოგადო საქმისათვის ფული გაიღოს, მით უპირველესად თავის თავსაც მიჰმართავს და რაღა უნდა იყოს აქ საეჭვო, რომ თითონაც მზათ არის თვისი წვლილი შეიტანოს.

და თუ ამისი თქმა მაინც ყოფილა საჭირო, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ იმის და მიუხედავათ, რომ არც მე ჩემი მშობლებისა და არც ჩემს ქმარს ნადელები არა გვრგებია, ჩვენ მაინც შევიტანთ ჩვენს წვლილს საზოგადო თანხაში იმის მიხედვით, რაც უმრავლესობას გახვდება ჩვენს მაზრაში.

საყურადღებოა და ღირს-მისაბაძი წერილი ქალბატონ ბათიაშვილისა, რომელიც აცხადებს, რომ თუმცა ნადელები არა მაქვს, მაგრამ ასეთ დიდ საქმეს ჩემი შეძლებით სამს თუმანსა ვსწირავო! ეს სამი თუმანი, თავის თავად ასეთი მცირე ფული, იმავ დროს არის ერთი იმ მრავალძაფთაგანი, რუსული ანდაზით, ყველასაგან რომ თითო-თითოთ მოაგროვეს და შიშველს პერანგი მოუქსოვეს. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ქალბატონი ბარათაშვილისა ჯერ ერთად-ერთია, რომელსაც ხმა გასცა საზოგადო მიმართვას და ასე ვსთქვათ, ამ ძაფის შეწირვა საჯაროდ გამოაცხადა!

თვით ნადელების პატრონნი კი ჯერ სდუმან, გორის მაზრაში მაინც!.. ალბად სწონიან და ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ,—ისა სჯობს რომ მისაღები ფული სულ ერთბაშად მოიხმარონ, თუ ერთი ნაწილი გადასდონ სამუდამო თანხისათვის. და აი ჩვენც ველით მოუთმენლად იმათ პასუხს.

პრესამ კი, იმის შესახებ, თუ რა უფრო სამჯობინაროა, უკვე გამოსთქვა თავისი აზრი.

**ნინო ყიფიანისა.**

# მერძევეთა ამხანაგობა მარტყოფში
(გარე კახეთი)

კვირას, 27 იანვარს, შესდგა მრავალ-რიცხოვანი ყრილობა, რომლის მიზანი იყო გადაწყვეტა მერძევეთა ამხანაგობის მოწყობისა სოფელ მარტყოფში. კრებას ადგილობრივი ინტელიგენციის გარდა დაესწრო მიწად-მოქმედების დეპარტამენტის აგრონომი ა. მარქაროვი და ქართული სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი ა. კახელაძე. თავმჯდომარეობდა კრებას დ. თუშმალიშვილი, რომელმაც მოკლედ გააცნო ხალხს მიზეზი იმ დღის კრებისა. ქ. ს. საზ. ინსტრუქტორმა აუხსნა ხალხს მნიშვნელობა კოოპერაციისა საზოგადოდ და კერძოთ მერძეობის ამხანაგობისა. განუმარტა ის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მერძეობის ამხანაგობის მოწყობა სოფლად.

ხალხმა სიამოვნებით მიიღო რჩევა გამოცდილი ხალხისა და სცნო, სხვათა შორის, აუცილებელ საჭიროებად, სოფელში უბან-უბან (რადგან სოფელი სიგრძე სიგანით რამდენიმე ვერსზეა გაჭიმული) ფიცრულების გამართვა, რადგანაც უბნებიდან მიტანილი რძე ქარხანაში გაიგზავნება... კრებისა და ქ. ს. ს. ინსტრუქტორის წინადადებისამებრ ყრილობამ ერთხმად დაადგინა, დაარსებულ იქმნას მერძეველთა ამხანაგობა ხელ-შეკრულებით, დროებით, ვიდრე შემუშავდეს წესდება, რომლის შედგენაც ეთხოვოს ქართ. სამ. საზოგადოებას.

იმავე დღეს საღამოთი ადგილობრივ სკოლის შენობაში იყო გამართული სახალხო საუბარი მერძეობის და მესაქონლეობის შესახებ ბუნდოვანი სურათების ჩვენებით. საუბარი ქ. ს. ს—ის ინსტრუქტორისა შინაარსიანი იყო და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. მეორე დღისთვისაც ითხოვეს ამგვარივე საღამოს გამართვა მანდილოსნებისათვის. უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ორთავე შემთხვევაში ხალხი ბევრი დაესწრო და ამიტომ მეტი არ იქნება, რომ ადგილობრივმა ინტელიგენციამ ამ გვარ სულიერ ხალხის მოთხოვნილებას რაიმე ყურადღება მიაქციოს და ხშირად გამართოს ხოლმე საუბარი.

მეორე დღიდან ბ-ნ მარქაროვის ხელმძღვანელობით იყო მოწყობილი საცდელად დანიური წესით ძროხების კვება, რისთვისაც დაბმული იყო ოთხი ძროხა.

**უკმაყოფილო.**

# სასამართლო
## პოლიტიკური საქმე.

ტფ. სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულოში, წოდებათა წარმომადგენლების დაუსწრებლად, 15 თებერვალს გაირჩა მღვდლის შვილის ალექსანდრე **კეკელიას საქმე,** რომელიც მეფის ურიგოდ ხსენებისათვის სასჯ. დებ. 103 მუხ. მე-3 ნაწილის ძალით სამართალში იყო მიცემული. საგანგებო საკრებულომ ბრალდებულს ოთხი თვის ციხე მიუსაჯა. ბრალდებულს ნაფ. ვექ. კ. ჯაფარიძე იცავდა.

—

ტფ. სასამართლო პალატაში 15 თებერვალს გაირჩა დუშეთის მაზრის გლეხის **გოგლა კახულაშვილის** საქმე, რომელიც მეზობლის ქალის მოწამვლის განზრახვისათვის სამართალში იყო მიცემული. ოლქის სასამართლომ იგი გაამართლა. მაგრამ ბრალმდებელმა საქმე პალატაში გადაიტანა. სასამართლო პალატამ ოლქის განაჩენი დაამტკიცა. ბრალდებულს ნაფ. ვექ. გ. დიასამიძე იცავდა.

—

ტფ. სასამართლო პალატაში 15 თებერვალს გაირჩა სააპელაციო საქმე კოლ. სოვ. **ვასილ კეპინოვისა,** რომელსაც ყალბი დასმენისა და ყალბი ჩვენებისათვის კან. დებ. 940 და 943 მუხ. ძალით ორი თვის საპყრობილე გადაუწყვიტა. სასამართლო პალატამ ოლქის განაჩენი გააუქმა და ბრალდებული გაამართლა. პალატაში მას ნაფ. ვექ. კლანკი იცავდა.

18 თებერვალს ტფ. სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული **გუნცაძისა, ჩხეიძისა, ბაქრაძისა** და სხვათა საქმე, რომელთაც ყვირილის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში ბოროტმოქმედება ბრალდებათ.

19 თებერვალს ტფ. სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულ ია საყურადღებო საქმე სტუდ. **ტერ-პეტროსოვის დებისა** და სხვათა, რომელთაც ბრალდებათ ერევნის მოედანზე ფულის გატაცებისათვის შეკრობილ სტუდ. ტერ-პეტროსოვის გაქცევაში მონაწილეობის მიღება. ამ საქმისათვის სამართალში მიცემულია ათამდე ბრალდებული და გამოწვეულია ორმოცამდე მოწმე.

# დეპუტატის გაჩხრეკა

10 თებერვალს დილის ექვს საათზე, მეოთხე სათათბიროს დეპუტატ სოც.-დემ. პეტროვსკის ბინას პოლიცია თავს დაესხა. ზარი ისე ძლიერად ჩამოჰკრეს, რომ ყველას გაეღვიძა. პასუხური შეეკითხა: „ვინ არის?" „დეპეშაო" იყო პასუხად. გააღეს თუ არა კარი დეპეშების დამტარებელის მაგივრად ოთახში თავი შემოჰყო ჟანდარმის ოფიცერმა, პოლიციის 2 ოფიცერმა და პოლიციის სხვა მოხელეებმა. ჟანდარმის ოფიცერმა გადასცა პეტერბ. დამცველ განყოფილების მიწერილობა ჩხრეკის მოსახდენად. წინა ღამეს პეტროვსკისთან ტომსკიდან ჩამოსულა მისი მეგობარი სვერდლოვი ცოლიანად და ორი წლის ვაჟით. ისინი სახლის დავთარში ჯერ არ ყოფილიყვნენ ჩაწერილნი. ეს იყო საბაბი პოლიციის მისვლისა. პოლიციამ გაჩხრიკა დეპუტატის ბინა, შეადგინეს ოქმი და სვერდლოვი და მისი მეუღლე დააპატიმრეს.

ამ ამბავმა დიდი აღელვება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია სათათბიროს კულუარებში. ყველას აკვირვებს ჩხრეკის უმნიშვნელო მიზეზი. დეპუტატ აჯემოვის სიტყვით, არსებულ კანონის თანახმად, დეპუტატის ხელშეუხებლობის თაობაზე, გაჩხრეკა შეიძლება დამცველ განყოფილების მიწერილობის ძალით და საბრალმდებლო მთავრობის წარმომადგენლის თანადასწრებით, რაც ამ შემთხვევაში არა ყოფილა.

# მოწერილი ამბები

**ს. წილკანი** (დუშ. მაზ.). 17 იანვარს ს. წილკანს ეწვია ინსპექტორი ბ. ნოგრატილი და წვრილი კრედიტის ამხანაგობა გახსნა. წილკანის საზოგადოებას მიეცა ორასი თუმანი ძირითად თანხად და 8000 მან. მოკლევადიან სესხად. ხალხი აღტაცებით მიეგება ამხანაგობის გახსნას; ამოირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარედ და საქმის მწარმოებლად ამორჩეულ იქმნა ერთხმად სოფლის მასწავლებელი ქ. ნატალია ბასილაშვილი, რომელმაც საზოგადოებას აღუთქვა ორი თვის განმავლობაში უფასოდ სამსახური, შემდეგ კი საზოგადოებამ აღუთქვა 5 მან. ჯამაგირი თვიურად.

მქონდა ლაპარაკი კოოპერატიულ ერბო-კარაქ-ყველის საკეთებელ ქარხანის შესახებ. ამ აზრსაც დიდის სიამოვნებით მიეგება გლეხობა. **ლ.**

# საკანონმდებლო დაწესებულებებში

დეპუტატმა ჩხეიძემ, 11 თებერვალს მიიღო წერილი ამიერ-კავკასიის რკინის გზათა პეტრე-პავლოვის დეპოში მუშად ნამყოფთაგან. შინაარსი შემდეგია: 1909 წელს შორაპანში თავის ბინაზე მოჰკლეს დეპოს უფროსი ზეინკალი რუხაძე. მკვლელები მიიმალნენ. გზათა უფროსმა, რომელიც აღჭურვილი იყო დროებითი გენერალ-გუბერნატორის უფლებით, დაითხოვა 187 მუშა და თავ-თავიანთ სამშობლოში გაჰგზავნა. დათხოვნილმა მუშებმა მიჰმართეს გზათა მინისტრს თხოვნით, დაენიშნა გამოძიება, აღმოეჩინათ მკვლელი და უდანაშაულო მუშები შიმშილობისაგან ეხსნა და სამუშაოზე დაებრუნებინათ. მინისტრმა თხოვნის დაკმაყოფილება აღუთქვა. გავიდა ხანი. მკვლელი აღმოაჩინეს კიდეც. მიუსაჯეს ექვსი წლით კატორღა. 137 დათხოვნილი მუშა კი კვლავ გაჭირვებას და სიმშილს განიცდის. მინისტრს დაპირება ჯერაც არ აღუსრულებია. უმუშევარნი სთხოვენ სოც.-დემ. ფრაქციას რაიმე დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულთ.

—

როგორც ვიცით, სათათბიროს პრეზიდიუმმა შრომის ჯგუფს თხოვნით მიჰმართა, საყოველთაო საარჩევნო უფლების პროექტში შესცვალონ ზოგიერთი ადგილები, და მკვახე სიტყვები მოარბილონ, რომელიც სათათბიროს ეხება. ამის თაობაზე როძიანკოს თათბირი ჰქონდა კერენსკისთან და გელოვანთან. გელოვანი და კერენსკი მოელაპარაკნენ ჯგუფს და დაადგინეს: არავითარი ცვლილება არ შეიტანონ პროექტში, რადგანაც მგავსი რამ ხშირადა თქმულა სათათბიროს ტრიბუნიდან და თავმჯდომარის შენიშვნა არ გამოუწვევიაო. შესწორება შეიტანეს მხოლოდ ერთს ადგილში. პროექტში ნათქვამი იყო: მესამე სათათბირო ყოველ შემთხვევაში მთავრობის მორჩილი იარაღი იყოო. სიტყვები—„ყოველ შემთხვევაში" შესცვალეს „უმეტეს შემთხვევაში".

შეკითხვათა კომისიაში განაგრძობენ არჩევნების თაობაზე კადეტების შეკითხვის განხილვას.

9 თებერვალს კომისიამ შეკითხვის ის მხარე განიხილა, რომელიც სამღვდელოების მოქმედებას ეხებოდა.

შეკითხვის განხილვამდე ოქტომბრისტმა იაგოდინსკიმ კომისიას წინადადება მისცა, განემარტებინა საკითხი: სათათბიროს და მის კომისიებს უფლება აქვს თუ არა სამღვდელოების მოქმედება განიხილონ. კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ სამღვდელოების მოქმედება მხოლოდ იმდენად ექვემდებარება სათათბიროს განხილვას, რამდენადაც იგი საეკლესიო საქმეებს არ ეხებაო. ამის შემდეგ ოქტომბრისტებმა პაჩინსკიმ წინადადება მისცა კომისიას, დაედგინა, რომ კომისიებს და სათათბიროს არა აქვს უფლება არქიელებისა და მღვდლების ურთიერთობაში ჩაერიოს, რადგანაც მათი ურთიერთობა დამყარებულია კანონებზე, რის ძალითაც მღვდლები უნდა ემორჩილებოდნენ არქიელებს.

პაჩინსკის წინადადება, 24 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 6-სა უარჰყვეს. კომისია შეუდგა შეკითხვის არსებითს განხილვას.

ხვოსტოვი ამტკიცებდა, რომ არქიელების ძალდატანება სამღვდელოებაზე, დამყარებულია მათს კანონიერ უფლებაზე. სათათბიროს არ შეუძლიან ჩაერიოს მათს ურთიერთობაში. მემარჯვენენი წინააღმდეგნი არ არიან საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, მაგრამ ეს იმას კი არა ჰნიშნავს, რომ სათათბიროს სამღვდელოების საქმეში ჩარევა მემარჯვენეებმა სამართლიანად მიიჩნიონ.

გრაფი ბობრინსკი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ არქიელთა ძალადობა სამღვდელოებაზე და ეგრეთ წოდებულ „ნაკურთხს კანდიდატების" შექმნა ერთად-ერთი სახსარი იყო, რათა ეკლესიისთვის მოეცილებინათ სამარცხვინო დაღი, რომელიც მიაყენა მეორე სათათბიროს წევრმა მღ. ბრილიანტოვმა. ბრილიანტოვი იმ პარტიის წევრად იმყოფებოდა, რომელმაც სისხლით შეღება თვისი თავი. აი ამისთანა მოვლენის ასაცილებლად გრაფ ბობრინსკის სამართლიანად მიაჩნია სამღვდელოების მოქმედება.

პურიშკევიჩს გულწრფელად ჰსწამს, რომ მთავრობისა და სამღვდელოების ძალადობა არჩევნებში სამართლიანია. მთავრობა სცდილობდა სათათბიროში თვისი პარტია გაეძლიერებინა. ყველა სახელმწიფოს მთავრობა ასე იქცევა, აქ სათაკილო და გასაკიცხი არაფერიაო. საქმე მოქმედების შედეგია, გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენო.

მომხსენებელმა ლიუცმა აღნიშნა, თუ ყველგან სჩადიან ამ ძალადობას, მხედველობაში ისიც მივიღოთ, რომ ამის წინააღმდეგ ყველგან პროტესტს აცხადებენ.

კერენსკი სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ ძალდატანება ეკლესიასა ჰარყვნის.

საზოგადო კამათი დასრულდა. როგორც კი კენჭის ყრას უნდა შესდგომოდნენ, პურიშკევიჩმა განაცხადა: ეხლავე თვალწინ გადაგიშლით ამ შეკითხვის სარჩულს. პურიშკევიჩმა წაიკითხა წერილი, რომელიც დეპუტატმა ფრიდმანმა ვინმე ვილენსკის გაუგზავნა და რომელშიაც სთხოვდა იგი შეეგროვებინა საარჩევნო ბოროტ-მოქმედების მასალა. პურიშკევიჩმა სთქვა, რომ ეს წერილი ვილენსკის გაჩხრეკის დროს არის ნაპოვნი და მთავარ-ანგელოზის საპაზრო პალატამ გადმომცაო. გერასიმოვი ირწმუნებოდა, რომ ფრიდმანის საქმეში გასაკიცხი და დასაგმობი არაფერია. ფრაქცია შეკითხვისთვის მასალას ამ გზითა ჰკრეფდა, რადგანაც მას საშუალება არა აქვს საჭირო დოკუმენტის შოვნისთვის კერძო ბინებზე ჩხრეკა მოახდინოს. პურიშკევიჩი თხოულობს ეს წერილი საქმეში ჩაურთონ, რადგანაც აზრად აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს მიჰმართოს საჩივრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდმანის უკანონო აგიტაციის გამო. მომხსენებელი ლიუცი ამ საკითხში შემკითხველებს ემხრობა და უკანონოდა სთვლის არქიელების ძალდატანებითი მოქმედებას სამღვდელოებაზე. პურიშკევიჩმა კომისიას განუცხადა, რომ დეპუტატ ფრიდმანს არ შეუძლიან კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს, რადგანაც საკითხი მართმადიდებელ ეკლესიას ეხებაო. ვეტჩინინმა ვერ იკისრა ფრიდმანის ჩამოშორება კენჭის ყრიდან; ამის შემდეგ პურიშკევიჩმა მოითხოვა ოქმში შეეტანათ ის ფაქტი, რომ ფრიდმანი კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა. კომისიამ კანონიერად სცნო საეპარქიო საარჩევნო კომიტეტების არსებობა, როგორც კერძო ორგანიზაციებისა. კომისიამ სამართლიანად და კანონიერად სცნო აგრეთვე კანდიდატთა ოფიციალურ სიების შედგენა, მათ შორის „ნაკურთხ" კანდიდატებისაც. ის საკითხი კანონიერი იყო თუ უკანონო ზოგიერთ მღვდლებისათვის საარჩევნო უფლების განხორციელების აკრძალვა, გადასაწყვეტი დარჩა, რადგანაც ხმები ორ თანაბარ ნაწილად გაიყო. 25 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ ხუთი ხმისა, კომისიამ უკანონოდ სცნო არქიელების მიერ ზოგიერთ მღვდლების ჩამოშორება, რათა მათ მონაწილეობა არ მიეღოთ არჩევნებში.

ფრიდმანმა დაადასტურა პურიშკევიჩის სიტყვები და სთქვა: მართალია ვკრეფდი ცნობებს არჩევნებში უკანონო მოქმედების თაობაზე, როგორც ყოველი დეპუტატიო. რაც შეეხება კენჭის ყრაში მონაწილეობას, ფრიდმანმა განაცხადა, რომ იგი თვითონვე არ მიიღებდა მონაწილეობას თუ საკითხი მართლმადიდებელთა ეკლესიას შეჰხებოდაო, მაგრამ აქ საქმე იყო საზოგადოდ მთავრობის უკანონო მოქმედებაზე და ამისთვისაც ვისარგებლე უფლებითო.

კერენსკიმ დაუმატა, რომ ისიც უგზავნიდა წერილებს მასალის შესაგროვებლად და პურიშკევიჩს სთხოვს მის წინააღმდეგაც აღძრას მინისტრის წინაშე საჩივარი.

# ამბოხება ოსმალეთში

**დეპეშები.**

15 თებერვალი.

**ბუქარესტი.** ირწმუნებიან, რომ მაჰმუდ-შევკეტ-ფაშას აუარებელი უსახელო წერილები მისდის სამხედრო ლიგის აფიცრებისაგან. უსახელო წერილების ავტორნი მაჰმუდ-შევკეტ-ფაშას სიკვდილით ემუქრებიან, თუ თანამდებობიდან არ გადადგა. კომიტეტი ყოველ ზომებს იღებს რათა თავიდან აიცდინოს მოსალოდნელი კონტრ-რევოლიუცია. სამხედრო სასამართლოს განკარგულებით გუშინ რვა აფიცერი შეიპყრეს. გალიპოლის ჯარის უკმაყოფილება დღითი-დღე იზრდება. ენვერ-ბეი სამხედრო გემიდან ვერა ჰბედავს გადმოსვლას. საქმის ვითარება ფრიად რთულია. კომიტეტის ბედი მომქმედ ჯარზე არის დამოკიდებული.

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები.**

15 თებერვალი.

**ათინა.** მოვიდნენ ათონის მონასტრების წარმომადგენლები, ისინი ათონის რესპუბლიკის პროექტის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ.

**სოფია.** სახალხო კრება გაიხსნა. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა კანონპროექტი, გაიღონ დამატებით ფული 50 მილიონი სამხედრო საჭიროებისთვის.

**ლონდონი.** როგორც ხმა დადის, ოსმალეთმა ადრიანოპოლი დაუთმო. რეიტერი იტყობინება, რომ ზავი ამ ახლო ხანში ჩამოვარდებაო. ზავის ჩამოგდების იმედი დიდია. როგორც ეტყობა, პორტას ახალი პასუხი შესაწყნარებელი იქნება.

**სტამბოლი.** სამხედრო მინისტრი უარ-ჰყოფს ცნობას, ვითომც ოფიცრთა შორის რაიმე უთანხმოება მომხდარიყოს. მინისტრი აფრთხილებს ამგვარ ხმების გამავრცელებლებს, რომ სასტიკი სასჯელით დაისჯებიანო.

**ბუქარესტი.** სტამბოლიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ ადრიანოპოლის გარნიზონი 400,000 კაცისაგან შესდგებაო. სტამბოლში დიდი ეჭვია, შესძლებს თუ არა ადრიანოპოლი თავის დაცვასო.

# დეპეშები

(დ პეშათა პეტერბ. სააგენტო)

15 თებერვალი.

**საზღვარ-გარეთ**

**სან-სებასტიანი.** დაიწვა თეატრი და 7 შენობა.

**თეირანი.** სამხრეთისკენ გავიდა ჟანდარმერიის რაზმი, მაიორ პეტერსონის უფროსობით. რაზმი ფარსის ქალაქებში დანაწილდება.

**ბრიუსელი.** მთავრობამ დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონ-პროექტი ჯარში ფლამანდიის და ფრანგული ენის სწორუფლებიანობისა.

**ურგა.** საელჩოში კოროსტოვცევის თავმჯდომარეობით მოხდა კრება მონღოლეთის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების თაობაზე. თათბირმა სურვილი გამოსთქვა ურგაში დაარსოს ბანკი.

**ბერლინი.** ელბინგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმპერატორ ვილჰელმის საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა თვის მამულიდან მოიჯარადრე კადინონის დათხოვნას.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ნოვოროსიის უნივერსიტეტში აღმოჩენილ ბოროტ მოქმედების გამო, სამინისტრომ გადასწყვიტა მიიღოს შესაფერი ზომები საქმის აღსადგენად და აგრეთვე დათხოვნა ყველა იმ პირთა, ვისაც ბოროტმოქმედებაში ბრალი უდევს.

**პეტერბურგი.** ქალაქის მოურავის გვამი გადაასვენეს ბალტიის ვაგზალზე, ტროიცკი-სერგიევის უდაბნოში დასაკრძალავად.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.**

**ახალი სამხედრო გეგმა.**

გერმანიაში სამხედრო ძალთა გასაძლიერებელი გეგმის მიღება საფრანგეთს შეუმჩნევლად არ დარჩა. საფრანგეთის პრესა თითებზე სთვლიდა გერმანიის სამხედრო ძალებს, ვარაუდს ეწეოდა. ხშირად შეგხვდებათ საფრანგეთის გაზეთებში ამგვარი ცნობები: „გერმანიის ჯარი მშვიდობიანობის დროს შესდგება 650,000 ჯარის-კაცისაგან. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მიაღწევს 800,000 და შეიძლება 950,000. საფრანგეთის ჯარი მშვიდობიანობის დროს შესდგება სულ 520.000 კაცისაგან, ეხლა იგი ჩამორჩენილია გერმანიის ჯარისაგან 130.000 კაცით. რამდენიმე თვის შემდეგ ჩამორჩება იგი 330,000 კაცით". ამითი აიხსნება საფრანგეთის შეშფოთება და მისი მოწოდება სამხედრო ძალთა გაძლიერებისაკენ; ამითვე აიხსნება ის ულრმესი კმაყოფილება, რაც საფრანგეთმა განიცადა ცნობით, რომ ახალი კაბინეთი შეუდგება ამ დარგში ახალ გეგმის შემუშავებასო.

მთავრობა ახლო მომავალში მოითხოვს პარლამენტისაგან ხარჯთაღრიცხვის ზედ-მეტად 70—80 მილიონ ფრანკის გადადებას სამხედრო საქმის მოსაწყობად. ამ ფულით სიმაგრეებს გააძლიერებენ და არტილერიას ახალ დონეზე დააყენებენ. აღდგომისათვის მოითხოვენ 500 მილიონ ფრანკს ახალ სესხს. ეს ფული სამხედრო გეგმის განხორციელებას მოჰხმარდება. უმთავრესი ყურადღება მიექცევა აგრეთვე ფრენის განვითარებას. მთავრობა სცდილობს გააძლიეროს ყოველნაირად საფრანგეთის ჯარი. სამხედრო მინისტრის გეგმას პარლამენტი ამ დღეებში განიხილავს. მთავრობის პროექტში სასურველად არის აღიარებული სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელება, 2 წლის მაგივრად 3 წლამდე, ან 30 თვემდე. სამხედრო მინისტრი ესტიენი და აგრეთვე მილიერანიც მომხრენი არიან სამი წლის ვადიანი სამსახურისა.

**შეერთებული შტატები**

**ქალთა საარჩევნო უფლება ამერიკაში.**

48 შტატში ამერიკაში საარჩევნო უფლებით ქალნი მხოლოდ 11 შტატში ჰსარგებლობენ. პირველად ქალებს საარჩევნო უფლება მიანიჭეს უაიომინგმა, იუტამ, კოლორადომ, აიდახომ და ვაშინგტონმა. ერთი წლის შემდეგ მათს მაგალითს მიჰყვნენ კალიფორნიის, არიზონის, კანზასი, მიჩიგანისა და ორეგონის შტატები. უისკონსინში ქალთა საარჩევნო უფლების შემოღების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მიზეზი ის იყო, რომ ქალთა საარჩევნო უფლება სოციალისტებმა წამოაყენეს ჱსხ. პარტიებმა უარჰყვეს. ამ ბოლო დროს დასავლეთ შტატებს აღმოსავლეთის ერთი შტატი მიემატა, სახელდობრ ნიუ-იორკი. იქსენატმა დაამტკიცა ქალთა საარჩევნო უფლება. როგორც „ტაიმსის" კორესპონდენტი იუწყება, სენატის ამგვარმა გადაწყვეტილებამ დიდი ცნობის-მოყვარეობა გააღვიძა, თუ ამას რა შედეგი მოჰყვებოდა სხვა შტატებში. ამ ნაბიჯმა არ მიახდინა პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილება. მიუკერძოებელი მეთვალყურენი ამტკიცებენ, რომ გათხოვილ ქალთა უმრავლესობამ ქმრების ზეგავლენით მისცეს ხმა ამა თუ იმ კანდიდატსაო. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ პოლიტიკურ ცხოვრების გარეგანი მხარე ქალთა ჩარევით უფრო წესიერი იყო, ვიდრე წინად. მაგრამ პოლიტიკურ ზნეობის სალაროში ქალებმა ბევრი ვერაფერი შეიტანესო. ქალები უფრო ხშირად ხდებიან მსხვერპლად პოლიტიკურ უზნეო ბრძოლისა, ვიდრე კაცებიო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 17 თებერვალს ქართულ თეატრში ბ-ნ გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს შექსპირის ცნობილ ტრაგედიას „მეფე ლირი"-ს. ლირის როლს შეასრულებს საგასტროლოდ მოწვეული ბ-ნი კ. დ. ყიფიანი. უმთავრესი როლები ამ პიესისა განაწილებულია დასის საუკეთესო ძალთა შორის. წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

**სახაზინო თეატრი.** დღეს საღამოთი სახაზინო თეატრში უკანასკნელი გასტროლია ჩვენი თანამემამულე მიხეილ **ნანობაშვილისა** (მიშელ დ'არიალი). იგი იმღერებს „გუგენოტებში".

**სახალხო სახლი.** 19 თებერვალს, ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრე თავის სახსართა გასაძლიერებლად, დამს. მსხ. ქ. ეფ. მესხის და ბ. კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოადგენს თავ. ალ. სუმბათაშვილის „ღალატს". პიესაში იღებს მონაწილეობას წრის ყველა ძალები. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია. 6 მარტს — **ბენეფისია რეჟისორის ბ. ალ. წუწუნავასი.**

დღეს, 17 თებერვალს, გორის საკრებულოს დარბაზში გაიმართება საინტერესო **„საღამო-მეჯლისი"**.

# ჩვენი ფოსტა

**ოზურგეთი. ქალაქის თავს თ-დ პლატონ ალმასხანის ძე ბერიძეს.** მესხიშვილის საიბილეოდ გამოგზავნილ მოსალოცი დეპეშაში შეცდომით დაბეჭდილი გამოგზავნელის გვარი უკვე შევასწორეთ.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

**(ზამთრობით).**

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს, 58 წ, **სახ** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასი ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები 3 და 4.

# განცხადებანი


ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დილით:**

„606" და „914"

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბებახართვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახთვი:** 10—11 ს. სჭებით. ავადმყოფობისა და ბავშვების.

**ნ. ტ. მუელინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელ.ისა.

**მ. გ. ბეგტაბაინცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. განი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სჭებით და ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეგტაბაინცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნ ავასარდიანი.

1004



**გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**

„SALO—პიჩლინ".

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონირეულ საუკეთესო ითვლება. დარიგება კოლოფში მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფები.

თი და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.

**აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს, უწყვეტელ მდინარეობას.**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека В. Конгеима. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.

Метцль 2 238. 1038



უვნებო-ხველებიანებ-გაფუფშეს აუ ა მ ე ო

სიროლინ „როშ"-ი,

იგი სულ მოკლე ხანში დააყენებს მტანჯველ ყივილსა და ხველას.



მოითხოვეთ უსათუოდ სიროლინ „როშ" ქარხნის თავ... ური გასახვევი

იშოვება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიაში.

მეტცლ. 66871. 1638



მუხრანის კერძო

# სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯავად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| ექიმების მიერ: | | **დილით:** |
|---|---|---|
| [illegible] | **სპექტიორი გ. მ.** . . . | 8½—9½ ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** . . . | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. ქ.** . . . | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** . . . | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი ნ. ა.** . . . | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** . . . | 9½—10½ ს. |
| [illegible] | **გრიგორიანი ა. ი.** . . . | 11—12 ს. |
| [illegible] | **მიკირტუმოვი** . . . | 10 11 ს. |
| | **ექიმი-ქალი ტერ-დავიდოვისა** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** . . . | 12½—1½ ს. |
| [illegible] | **ჩაპელნიკოვი გ. ი.** . . . | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914"**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581



## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა . . . . ფ. 50 კ.
ბავშვის მოვლა ნათაძისა . 25 „
„ „ კომბიხა. ნათ. მაჩაბ. 40 „
დედაკაცის ხვედრი . . 15 „
მშობლები და მათი შვილები— როგორნიც უნდა იყვნენ და ზრდიდნენ . . . . . 30 „
ჩვენს ქალებს. შტარის წერილები . . . . . 20 „
სამი მსხვერპლი. დ. კარიჭაშვილისა . . . . . 30 „
აკაკის საიუბილეო კრებული . . . . . . 25 „

Народная медицина въ Закавказскомъ Краѣ . . 70
Эскизы и Этюды. И. Хонэли 1 გ.

**მიღებულია ახალი წიგნები:**

Памятная записка объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ . . . . . . 50
Нетронутый уголокъ. Ведребисели. . . . . . 60
მცენარეები და ცხოველები ვ. რცხილაძისა . . 40
ვლადიმერ სარ ალექსი-მესხიშვილი, ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძისა 50

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 114



## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.



**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.



## განცხადება

## სამეურნეო იარაღების საწყობი

**გ. ბ. თათუზოვი და ამხანაგობა.**

ამით ვაუწყებთ პატივცემულ მეურნეებს, რომ ჩვენს საწყობში შეუძლიათ მსურველებს შეიძინონ, **როგორც ნაღდზე, ისე ნისიად** შემდეგი სამეურნეო იარაღები: სალეწი მანქანები—სანიავებელი აპპარატებით, ორთქლით მომუშავე გუთნები, სამკალი მანქანები, როგორც თვით ძნის შემკვრელი, ისევე სხვა; რიგზე სათესი მანქანები, როგორც სიმინდისა აგრეთვე პურისა, მატორები, სიმინდის საცეხვი, ყურძნის საწური და გორველის გასაჩევი მანქანები, გუთნები და ერთი სიტყვით

**ყოველნაირი სამეურნეო იარაღები**

**საწყობი იმყოფება ქ. თ ე ლ ა ვ შ ი,** ხიდის ყურთან, ნარიმნოვის სახლებში, ქალაქის თვითმმართველობის ქვეშ

103 პატივისცემით **გ. ბ. თათუზოვი და ამ—გობა.**



მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები,

და ყოველგვარი

**კონსერვები.**

მოგკიდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თარო, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მიხარმული დოში, ზურგიელი** და ყოველგვარი

**შავი ხიზილალა**